

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

საქართველოს კანონის პროექტზე
“საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის შესახებ”

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზანი: “საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის შესახებ” საქართველოს კანონის პროექტის შემუშავება განპირობებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში დაგეგმილი რეორგანიზაციის განხორციელებით, რომლის მიხედვით გათვალისწინებულია ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის, საბაჟო დეპარტამენტის და ფინანსური პოლიციის გაერთიანება და მათ საფუძველზე ერთიანი სამსახურის შექმნა.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი: კანონპროექტის მიზანია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფინანსური პოლიციის, საგადასახადო და საბაჟო დეპარტამენტების გაერთიანების შედეგად შექმნილი ფინანსთა სამინისტროს ახალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – შემოსავლების სამსახურის მარეგულირებელი ერთიანი საკანონმდებლო ნორმატიული აქტის შექმნა.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში მიმდინარე რეორგანიზაციით, ფინანსური პოლიციის, საგადასახადო და საბაჟო დეპარტამენტების შერწყმით, იქმნება ახალი ორგანო – შემოსავლების სამსახური (შემდეგში – სამსახური), რომელიც შეითავსებს ზემოხსენებული სამივე დაწესებულების ფუნქციებს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ აღნიშნულ პროცესში ხდება “ფინანსური პოლიციის შესახებ” საქართველოს კანონის ძალადაკარგულად გამოცხადება, რის შედეგადაც, საკანონმდებლო რეგულირების გარეშე რჩება მთელი რიგი ისეთი საკითხებისა, რომელთა განხორციელების უფლებამოსილებაც შევა შემოსავლების სამსახურის კომპეტენციაში. აღნიშნულიდან გამომდინარე აუცილებელი ხდება ერთიანი საკანონმდებლო აქტის შემუშავება, რომლითაც გათვალისწინებულ იქნება შემოსავლების სამსახურის ფუნქციები და ამოცანები, სამსახურის თანამშრომელთა უფლება-მოვალეობები და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები.

კანონპროექტი განსაზღვრავს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის სამართლებრივ სტატუსს, უფლებამოსილებებს, სამსახურის მოსამსახურეთა სამსახურში მიღებისა და სამსახურის გავლის საფუძველებს, აგრეთვე სამსახურის მოსამსახურეთა სოციალური დაცვის გარანტიებს.

კანონპროექტი შედეგება რვა თავისაგან.

პირველი თავი ითვალისწინებს ზოგად დებულებებს, განსაზღვრავს სამსახურის სამართლებრივ სტატუსს (ეს არის სამართალდამცავი ორგანო, რომელიც სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების სახით შედის ფინანსთა სამინისტროს სისტემაში), სამსახურის საქმიანობის სამართლებრივ საფუძველებს და საქმიანობის ძირითად პრინციპებს.

მეორე თავი განსაზღვრავს სამსახურის ძირითად ფუნქციებს (კომპეტენციის ფარგლებში გადასახადებისა და გადასახდელების ადმინისტრირება, საქონლის იმპორტსა და ექსპორტზე საბაჟო ზედამხედველობის და კონტროლის განხორციელება, კომპეტენციის ფარგლებში დანაშაულის გამოვლენა, თავიდან აცილება და წინასწარი გამოძიება, წინასწარი გამოძიების სტადიაზე შესაბამისი ექსპერტიზის ორგანიზება და ჩატარება და სხვა). სამსახური უფლებამოსილია თავისი კომპეტენციის ფარგლებში განახორციელოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობით, “ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ” საქართველოს კანონით, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული საქმიანობა.

მესამე თავი ითვალისწინებს სამსახურის თანამშრომლის მიერ ფიზიკური იძულების, სპეციალური საშუალებების და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების წესებს.

მეოთხე თავი განსაზღვრავს სამსახურის ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის პრინციპებს.

მეხუთე თავი ითვალისწინებს სამსახურის ორგანიზებას, მისი სტრუქტურას, სტრუქტურული ქვედანაყოფებისა და ტერიტორიული ორგანოების შექმნის წესსა და სამსახურის წლიურ ანგარიშგებას.

მექვსე თავით მოწესრიგებულია სამსახურში სამსახურის გავლის, სამსახურიდან გათავისუფლების, სამსახურის მოსამსახურეთა პასუხისმგებლობისა და მათი სოციალური დაცვის საკითხები.

მეშვიდე თავი ითვალისწინებს სამსახურის დაფინანსების და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის საკითხს (სამსახური ფინანსდება სახემწიფო ბიუჯეტიდან).

მერვე თავი განსაზღვრავს გარდამავალ და დასკვნით დებულებებს. კანონპროექტის მიხედვით, ამ კანონის ამოქმედებამდე ფინანსთა სამინისტროს ფინანსური პოლიციის წარმოებაში არსებული საქმეები გადაეცემა შემოსავლების სამსახურს. კანონით განსხავებულადაა მოწესრიგებული გაუქმებულ/რეორგანიზებულ თანამდებობებზე, ტერიტორიულ ორგანოებში და სტრუქტურულ ქვედანაყოფებში მომუშავე პირების სამსახურიდან გათავისუფლების წესი და მათი ახალ დანიშვნის საკითხი.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი სახსრების გამოყოფას სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტს მიღება ფისკალურად ნეიტრალურია, იგი გავლენას არ მოახდენს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:
კანონპროექტის მიღება არ წარმოშობს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ე) კანონპროექტით მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართ ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:
კანონპროექტის მიღება არ იქონიებს ზეგავლენას ფინანსურ შედეგებზე.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):
კანონპროექტით არ არის გათვალისწინებული გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრა.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:
კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:
კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ დადებული ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალდებულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:
საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო და საბაჟო დეპარტამენტები.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

კანონპროექტი არ ყოფილა წარდგენილი ექსპერტებისათვის.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი
საქართველოს მთავრობა